120
1931 წ
№ 364
ს-21

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 15 კაპ.

ნოემბრის 1
1931 წ.

სალიტერატურო გაზეთი

№ 1

რედაქცია
მოთავსებულია ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სახლში, მაჩაბლის ქ. № 13, ტელ. 1—65

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ათდღიური გაზეთი

„სალიტერატურო გაზეთი“

დღეიდან იწყებს გამოსვლას „სალიტერატურო გაზეთი“ — საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ორგანო. ამ გაზეთის დანიშნულება და მუშაობის პროგრამა განისაზღვრება იმ ამოცანებით, რომელსაც პროლეტარული რევოლუციის განვითარების დღევანდელი პერიოდი საბჭოთა მწერლობის წინაშე აყენებს. მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაშლილ სოციალისტურ შეტევაზე გადავიდა მთელი ფრონტის გასწვრივ. უკვე შევედით სოციალიზმის პერიოდში. მიმდინარე წელში სრულდება სოციალიზმის საძირკვლის ამოშენება. ამ უდიდესი ისტორიული საქმის მიზანია კაპიტალიზმის ნაშთების ძირფესვიანად მოსპობა და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ სოციალისტურ ფორმათა შექმნა.

დიად სოციალისტურ მშენებლობის გეგმათა წარმატებით განხორციელებას არ შეუძლია არ გამოიწვიოს კლასიური ბრძოლის გამწვავება, რადგან ეს პროცესი ეხება პროლეტარიატის მოწინააღმდეგე კლასების სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესებს. იგი აუძლურებს და სპობს მათ. ბურჟუაზიული ელემენტები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად გააფთრებით იბრძვიან სოციალისტური მშენებლობის, პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

არც ერთ საზოგადოებრივ ძალას, რომელი დარგიც არ უნდა ავიღოთ იქნება ის ეკონომიკა, მეცნიერება თუ ხელოვნება და ლიტერატურა არ შეუძლია იყოს კაპიტალისტური ურთიერთობის ძველი ნაშთების რღვევისა და მით გამოწვეულ კლასიური ბრძოლის უბრალო მაყურებელი, აღნიშნული პროცესი შეეხება ყველას და მათ შორის მწერლებს და მწერლობასაც.

როგორც ცნობილია, ხელოვნება და ლიტერატურა საბოლოო ანგარიშში ეკონომიკის ზედნაშენს წარმოადგენს. ის უსათუოდ ასახავს ამა თუ იმ ფორმით და შინაარსით იმის და მიხედვით თუ რომელ კლასს ეკუთვნის, იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, რომელსაც ადგილი აქვს ცხოვრებაში მწერლობაშიც ისეთ კლასიურ დაყოფას აქვს ადგილი, როგორც საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადამიანთა შორის. ამისი ნათელი მა[illegible] ის დიფერენციაცია, რო[illegible] მწერლობა[illegible]ში.

რა [illegible] ცანები [illegible] დგას „სალიტერატურო გაზეთი“-ს წინაშე?

„სალიტერატურო გაზეთი“ არის საბჭოთა მწერლების ფედერაციის ორგანო. ეს კი ნიშნავს იმას, რომ გაზეთი უნდა ასრულებდეს იმ ამოცანებს, რომელიც ფედერაციის საქმიანობის საფუძველია. გარდა ამისა „სალიტერატურო გაზეთს“ (თუმცა ლიტერატურულს) არ შეიძლება [illegible] ეს სხვა ხასიათის ამოცანები, რომელიც საერთოდ აქვს ყოველ პოლიტიკურ გაზეთს ჩვენს ქვეყანაში. [illegible] უნდა იყოს ლენინის გამოთქმით კოლექტიური პროპაგანდისტი, კოლექტიური აგიტატორი და კოლექტიური ორგანიზატორი.

კონკრეტულად ეს ნიშნავს იმას, რომ „სალიტერატურო გაზეთი“, რომელიც ემსახურება მთელი საბჭოთა მწერლობის მოთხოვნილებებს, არ შეუძლია გადაიქცეს აპოლიტიურ, ნეიტრალურ „შეხედულების პარლამენტად“ ან ისეთ სარედაქციო ყუთად სადაც ყველაფერს ჩაჰყრიან. მას უნდა ჰქონდეს მტკიცე ლიტერატურულ-პოლიტიკური ხაზი.

„სალიტერატურო გაზეთი“ მოწოდებულია იყოს ხელმძღვანელი, ორგანიზატორი მწერალთა და მკითხველთა საზოგადოებრიობის, მან თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს საბჭოთა მწერლობის აქტიური, უფრო მახლობელი ელემენტები, მიიზიდოს ჩამორჩენილები, შეუბრალებლად ებრძოლოს ყველაფერს რაც არის არა პროლეტარული, არა რევოლუციონური საბჭოთა ლიტერ[illegible]ში ამ[illegible] ბურჟუაზიულ [illegible]

„სალიტერატურო გაზეთმა“ უნდა გამოიყენოს მთელი ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომელიც ფედერაციის განკარგულებაშია. მან დაკვირვებულად და აზრიანად უნდა აწარმოოს კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა თანამგზავრებთან და მოკავშირეებთან, რათა მათ თავიანთი მოსამვალე იდეოლოგიური ფორმები (რომელიც ახასიათებს საბჭოთა ლიტერატურის ამ მრავალფეროვანს რაზმს) დასძლიონ „ამხანაგურ თანამშრომლობაში კომუნიზმის კულტურულ ძალებთან“. საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. რეზოლიუციიდან).

დღეს ივეს გამწვავებულ კლასთა ბრძოლის პირობებში ვიმყოფებით, რაც, რასაკვირველია, ლიტერატურაშიაც ისახება, რაც ლიტერატურასაც შეეხება. ამიტომ „სალიტერატურო გაზეთის“ დანიშნულებაა, რომ ამ ბრძოლაში მიიღოს აქტიური მონაწილეობა, განუმარტოს საბჭოთა მწერლობას ის ამოცანები, რომელიც სდგას საბჭოთა კავშირის წინაშე, შეუნელებელი იერიშები მიიტანოს კაპიტალისტურ, შინა-ემიგრანტულ, ახალ-ბურჟუაზიულ და კულაკურ ელემენტების იდეოლოგიაზე, მიუთითოს მერყევთა შეცდომებზე, მათი გამოსწორების მიზნით და ჩააბას ისინი სოციალისტურ აღმშენებლობაში.

უკიდურესათ გამწვავებული კლასიური ბრძოლის პერიოდი იწვევს არაპროლეტარულ მწერლობაში მკვეთრ დიფერენციაციას. იცვლება თანამგზავრობის შინაარსი და შემადგენლობა. თანამგზავრობა არ ნიშნავს სულ ერთ და იმავე პოზიციაზე უძრავად დგომას. თანამგზავრობის ერთი ნაწილი პროლეტარული რევოლუციის აქტიური მომუშავეები, მოკავშირეები ხდებიან. სამაგიეროთ თანამგზავრების ნაწილი კლასიური მტრის [illegible] ბის მხარეზე გადადის. რასაკვირველია, ჩვენ ამოცანას წარმოადგენს, რომ არც ერთი მწერალი, რომელსაც აქვს გარკვეული ღირებულება და მნიშვნელობა საბჭოთა მწერლობისათვის არ ჩაუგდოთ ხელში კლასიურ მტრებს. ჩვენი ხაზი სრულიად არ მდგომარეობს იმაში, რომ რომელიმე მწერალი განზრახ ან დაუმსახურებლად ჩამოვიშოროთ. მწერლის ჩამოშორება, მისი ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მოქცევა არ შეიძლება ჩაითვალოს მიღწევათ. ეს კარგად უნდა [illegible] ამგზავრო[illegible] ისების საქმეში, მაგრამ არა ლიბერალური მოთმინების მეთოდით, არამედ მერყეობისა და შეცდომების პრინციპიალური კრიტიკით. უკანასკნელ წლების ჩვენი ლიტერატურის განვითარება იმის შესახებ ლაპარაკობს, რომ ასეთს პრინციპიალურ-ბოლშევიკურ კრიტიკას საბოლოო ანგარიშში, ყოველთვის სარგებელი მოჰქონდა. საჭიროა ყოველ თანამგზავრ მწერალს მიუდგეთ ინდივიდუალურად, რათა დავეხმაროთ მას წავიდეს წინ, გახდეს მოკავშირე და შემდეგ პროლეტარული მწერალი.

უკვე უნდა აღინიშნოს, რომ „სალიტერატურო გაზეთი“ ვერ შესძლებს თანამგზავრების კომუნისტურ აღზრდას, თუ კი მან არ აწარმოა გაძლიერებული ბრძოლა ბურჟუაზიულ, თავად-აზნაურულ — კულაკურ ლიტერატურის წინააღმდეგ.

დღეს პროლეტარული მწერლობა არის ლიტერატურული ფრონტის ძირითადი რაზმი, რომელიც ატარებს პარტიის გენერალურ ხაზს და მტკიცედ მიემართება ჰეგემონიისაკენ. პროლეტარული მწერლობა უკვე ხდება ძლიერ კულტურულ-პოლიტიკურ და მხატვრულ-შემოქმედებითი ფაქტორად. იგი უწყობს ხელს მშრომელი მასების აღზრდას და ორგანიზაციას, დამკვრელობისა და სოცშეჯიბრის გაშლას, ბრძოლას სამეურნეო საფინან. გეგმებისათვის, სოციალისტური მშენებლობის უარყო[illegible] [illegible]ების გამომჟღავნება[illegible] ხედავად ყოველი[illegible]

ნასკნელ საქმეში „სალიტერატურო გაზეთმა“ უახლოესი აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს.

დამკვრელ მუშების გაწვევა ლიტერატურაში, პროლეტარული მწერლობის მოძრაობის წინაშე შლის ახალ ფურცელს, რაც უპირველეს ყოვლისა ნიშნავს მთელი პროლეტარიატის კულტურული დონის ამაღლებას, რაც ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ პროლეტარიატი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა იდეოლოგიურ ფრონტზე. დამკვრელ მუშათა გაწვევა თავის ამოცანად ისახავს აგრეთვე იმას, რომ პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციის შემოქმედებით ხელმძღვანელად უნდა გახდეს მუშები. ამ ხაზით ყველაფერი სათანადოთ არ არის გაკეთებული. სუსტად ჩატარდა გაწვევა, მუშათა საკმაო რიცხვი არ იქნა შეყვანილი პროლეტარულ მწერლობაში. ხარისხობრივად მათთან ჩატარებული მუშაობაც არ არის დამაკმაყოფილებლად შესრულებული.

„სალიტერატურო გაზეთმა“ დიდი მუშაობა უნდა აწარმოოს მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშებთან, უნდა დასვას მათი მუშაობის ძირითადი საკითხები, გაარჩიოს დამკვრელთა შემოქმედება, გამოიტაცოს ფართო მასებში ლიტწრეების მუშაობა და სხვ.

„სალიტერატურო გაზეთი“ ფართო ადგილს დაუთმობს შემოქმედებითი დისკუსიის ჩატარებას, იგი შეუნელებლად იბრძოლებს პროლეტარული მწერლობის მიერ დიალექტურ მატერიალიზმის მეთოდის დაუფლებისათვის.

განვლილ პერიოდში შემოქმედებითი დისკუსიას საგრძნობი ნაკლოვანებები ახასიათებდა. ამ ნაკლოვანებათაგან განსაკუთრებით აღსანიშ[illegible] აბსტრაქტიული ხასიათი, საერთო ფრაზეოლოგიის სიჭარბე, კონკრეტიულ კრიტიკისაგან დაშორება და სხვ. მხატვრული მასალებიც, რომელთა ირგვლივ მიმდინარეობდა დისკუსია, უმეტეს შემთხვევაში არ იყო ადგილობრივი.

„სალიტერატურო გაზეთი“ ადგილს დაუთმობს თავის ფურცლებზე ყოველგვარ ნაწარმოებებს, რომელიც კი ქართულ მწერლობის შემდგომ წინსვლას, განვითარებას ხელს შეუწ[illegible]

„სალიტერატურო გაზეთი“ მარქსისტულ-ლენინური კრიტიკის თვალსაზრისით გააშუქებს ქართული ლიტერატურის განვითარების გზებს თეატრის, სახვითი ხელოვნების, მუსიკის და კინოს საკითხებს.

საბჭოთა მწერლობას არ შეუძლია განზე გაუდგეს გაშლილ სოციალისტურ აღმშენებლობას. „სალიტერატურო გაზეთმა“ უნდა დარაზმოს საბჭოთა მწერლობის საზოგადოებრიობა მხატვრული სიტყვის საშუალებით სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

„სალიტერატურო გაზეთი“ ხელს შეუწყობს აგრეთვე ეხლა დაფანტულ კოლმეურნე-გლეხობის მწერლობის ორგანიზაციას და ჩამოყალიბებას, მათ გადაყვანას პროლეტარულ იდეოლოგიაზე.

„სალიტერატურო გაზეთი“ შეებრძოლება ყოველი სახის აპოლიტიზმს, ჩამორჩენილ განწყობილებებს, დაცემულობას, ბოჰემას. ყველა საკითხებში იგი გაატარებს მკვეთრ კლასიურ — ბოლშევიკურ ხაზს.

„სალიტერატურო გაზეთი“ დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებს ყოველგვარ ოპორტუნიზმს, მთელი[illegible] სისასტიკით ამხელს ბურ[illegible] კულაკურ, თავად-ა[illegible] ნისტურ და[illegible] ტურ[illegible]

ბის მიერ საბჭ. მწერლების ფედერაციის სამდივნოში შემოტანილ განცხადებებიდან დავინახავთ.

აი რას ამბობს განცხადებაში, თავის-თავის შესახებ პ. ინგოროყვა: „მე უნდა მეყოს მოქალაქეობრივი გამბედაობა განვაცხადო, რომ მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის ამ დოკუმენტს (ლაპარაკია პრეზიდიუმის დადგენილებაზე მათი გამორიცხვის შესახებ, ს. წ.) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის, ვინაიდან ამან მკვეთრად დასვა ჩემს წინაშე ჩემი წარსული შეცდომების საკითხი“.

მოუსმინოთ ქვემოთ:

— „მე ვსცნობ ჩემს შეცდომებს და სავსებით ვახდენ ჩემს განიარაღებას“.... „ნაციონალისტი დღეს არის გაუმართლებელი რეციდივი წარსულისა. ასეთი ნაციონალისტი აგავს იმ ადამიანს, რომელსაც ვერ შეუმჩნევია, რომ კარგა ხანია გათენდა და ისევ ანთებული ჭრაქით დადის“. ....„მე გაბედულად ერთხელ და საბოლოოდ ვიხსნი ჩემს ნაციონალისტურ სათვალეებს და სინამდვილეს პირდაპირ უსწორებ თვალს“.

მე მგონია, რომ ეს ამონაწერები არ საჭიროებენ კომენტარიებს. აქედან მხოლოდ ერთი რამ მტკიცდება. პირველი ის, რომ პროლეტარული და თანამგზავრ-მოკავშირე მწერლები მართალი იყვნენ ამ საკითხში, მეორე ის, რომ უბადრუკობის ნიმუშად შეიძლება გახდენ ის მწერლები, რომლებიც დათვურ სამსახურს უწევდნენ ამ მწერლებს, მათი ორგანიზაციაში დატოვების დაჟინებითი თუ დაქადნებითი მოთხოვნით. გასაგებია, რომ თუ მათ დაუჯერებდით ამ შედეგს ვერ მივაღწევდით.

დღეს იცვლება მდგომარეობა, ლიტერატურის სხვადასხვა ჯგუფებში წვრილ-ბურჟუაზიულ მწერლობის შიგნით ირღვევა კარჩაკეტილობისა და აპოლიტიურობის რკალი. ნაწილი თანამგზავრობის მიდის გაბედულად წინ, გვიახლოვდება, ნაწილი შიშით და კანკალით იძვრება მყარ ადგილიდან, ნაწილი კი ისევ ძველებურად განაგრძობს ანტისაბჭოთა შემოქმედებითი მუშაობას.

თანამგზავრობა არ წარმოადგენს ისეთ თავშესაფარს, სადაც შეიძლებოდეს ერთ მუდმივ ადგილას დგომა, თანამგზავრობა ლიტერატურაში ეს არის იდეოლოგიური პროცესის ერთ-ერთი რგოლი, რომლის განვითარების შემდეგ თანამგზავრების ნაწილი გადადის თავისი შემოქმედების განვითარების ახალ ეტაპზე. ამ ეტაპს კი ეწოდება მოკავშირული ლიტერატურა.

თანამგზავრობიდან მოკავშირეობაზე გადასვლა ეს არის დიდი იდეოლოგიურად გარდაქმნის და საკუთარი თავის გადაკეთების პროცესი. შეიარაღებისათვის, ეს არის დიალექტიურ მატერიალიზმის მსოფლმხედველობით შეიარაღებისათვის ბრძოლა, როცა ხდება წარსულ ლიტერატურულ-შემოქმედებითი გზის, სოციალურ-პოლიტიკური ვითარების კრიტიკა და გადასვლა პროლეტარიატის იდეოლოგიურ პოზიციებზე. ეს მოვლენა კი წარმოადგენს ახალ შემოქმედებითი მეთოდის გამომუშავებას დიალექტიურ მატერიალიზმის საფუძველზე.

მაშასადამე, მოკავშირე მწერალი არის თანამგზავრობის [illegible]ტაპიდან გამოსული [illegible] მუშათა კლასის ხაზ[illegible] გა[illegible] [illegible]ლდებ ბრძოლა[illegible] ლიტერატურაში პრო[illegible]რლებთან ერთად იბრძვის ლიტერატურულ-პოლიტიკური ხაზის სისწორისათვის.

როგორი დამოკიდებულება უნდა ვიქონიოთ იმ მწერლებისადმი, რომელნიც თანამედროვე ეტაპზე კიდევ თანამგზავრებათ რჩებიან? — სასტიკად უნდა შევებრძოლოთ მათ წვრილბურჟუაზიულ მერყეობას და გადახრებს, მაგრამ ამავე დროს უნდა გაუწიოთ დახმარება მათ, რომ გარდაიქმნენ საბოლოოდ და დაუახლოვდენ თავიანთი შემოქმედებით პროლეტარიატის ინტერესებს. ამისათვის კი საჭიროა არის მათთვის ამხანაგური დამოკიდებულება და ამხანაგური ატმოსფერის შექმნა.

დღეს ტემპები ეუფლება ყოველ სფეროს. ტემპები იმარჯვებს ყველგან, სადაც ტემპი არ არის, იქ უკან მაჩანჩალობაა გამეფებული. ამიტომ თანამგზავრი მწერლების ამოცანაა გააძლიერონ ტემპები შემოქმედებითი — იდეოლოგიურ აზროვნების გარდაქმნისათვის. თანამგზავრების ახალ პირობებსა და ახალ მდგომარეობის დროს ძველ ეტაპზე დარჩენა აუცილებლად ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გავლენის ნამდვილ ფაქტს წარმოადგენს, რაც საბოლოო ანგარიშში საფრთხეს უმზადებს ასეთ მწერლებს ბურჟუაზიულ გადაგვარებით.

თანამგზავრ და მოკავშირე მწერლებთან მუშაობა წარმოუდგენელია რეაქციონურ-ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ მწერლების წინააღმდეგ შეუნელებელ ბრძოლის გარეშე.

[illegible]

ტობს თავის ძველ სიმბოლისტურ—მისტიკურ ტრადიციებს, უფრო კი „ყანწურ“ იდეოლოგიას. ამ ჯგუფის ხელმძღვანელების როლი ფედერაციის გადახალისების საქმეში ანტითანამგზავრული და ანტიპროლეტარულია. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ჯგუფში ახლა მთლიანობა არსებობდეს იდეოლოგიურ შემოქმედებითი საფუძველზე. ჯგუფში ადგილი აქვს ღრმა დიფერენციაციას. ჯგუფის 1 ნაწილი ემიჯნება მემარჯვენე ფრთას და თანამგზავრულ პოზიციებისაკენ მიილტვის, ნაწილი კი მოკავშირე ლიტერატურაში შევიდა. დანარჩენები ისევ ძველ რეაქციონურ ადგილზე სდგანან.

ასევე უნდა ითქვას, „მემარცხენეების“ შესახებაც.

საბჭოთა მწერლობის ფედერაციის ამოცანაა ხელი შეუწყოს სხვადასხვა ჯგუფებში ა
ნაა ხელი შეუწყოს სხვადასხვა ჯგუფებში არსებულ დიფერენციაციას, რომ მათ საბოლოოდ შესძლონ წვრილ-ბურჟუაზიულ მწერლობის რკალების გარღვევა და განთავისუფლება ძველი გავლენებისაგან.

საბჭოთა მწერლობის წინაშე ზემოდ დასმულ საკითხების გარდა მთავარ ამოცანას წარმოადგენს სოციალისტურ მშენებლობაში ორგანიული მონაწილეობის მიღება, ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა, მათთან დაახლოვება, ხუთწლედის გმირების ლიტერატურაში ჩვენება, დამკვრელი მუშების მწერლობაში გაწვევა და სხვა.

მთელი ენერგია უნდა მოხმარდეს ახლა ისეთ გენერალურ თემების დამუშავებას როგორიც არის ქარხნების ისტორია, ხუთწლედის გმირები, დამკვრელობა, სოციალისტური შეჯიბრი, ხუთწლიანი გეგმა, სამოქალაქო ომის ისტორია და სხვ.

ის მწერალი, რომელიც ვერ შესძლებს ცოტაოდენი წვლილი მაინც შეიტანოს ლიტერატურაში თანამედროვე საბრძოლო ხასიათის თემების დამუშავებით, ვერ ჩაითვლება დღევანდელობის აქტიურ მწერლად.

საბჭოთა მწერლების ფედერაცია მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ მოქმედ-შემოქმედებით ორგანიზაციად, როდესაც ის შეიძლებს ჩააბას მთელი მწერალთა მასები დღევანდელობის დიადი იდეებისათვის ბრძოლაში.,

ამიტომ მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა ეცადოს, რომ [illegible]ული მწერალი დაიახლოვოს, ხელი შეუწყოს მის იდეოლოგიურ გარდაქმნას, გადახალისების და ისე ჩააბამს ის ჩვენი ქვეყნის გიგანტურ მშენებლობაში.

მწერალთა ფედერაცია ყველას შეუწყობს ხელს, ყველა მწერალს დაეხმარება და მისცემს საშუალებას თავისუფლად აამაღლოს თავისი შემოქმედება იდეურ და მხატვრულ დონის მხრივ, რასაკვირველია, ვის[illegible] მუშათა კლასის იდეებისათვის ბრძოლა. სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობს ამხ. სტალინი. „მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება არა ყოველნაირი საინჟინერო-ტეხნიკური და მეთაურთა ძალები. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი მეთაურები და საინჟინერო ტეხნიკური ძალები, რომელთაც შეუძლებათ გაიგონ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის პოლიტიკა, შეეძლებათ შეითვისონ ეს პოლიტიკა და რომლებიც მზად იქნებიან იგი სინდისის ქვეშ განახორციელონ“.

[illegible] ლადის სიტყვები კონკრეტუ[illegible] შეიძლება ამ [illegible] მიეყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ხელს გაუწვდით და დავეხმარებით ისეთ მწერლებს, რომლებიც გაიგებენ და შეითვისებენ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის პოლიტიკას და იბრძოლებენ ამ პოლიტიკის გამარჯვებისათვის.

აი ისმება ახალ პირობებში მწერალთა იდეოლოგიური გადაკეთების საკითხები. ეს დებულებები უნდა დაედოს საფუძვლად იმ შემოქმედებით დისკუსიას, რომელიც ამ ახლო ხანში უნდა გაიშალოს მთელი ფრონტით.

ეს არის უახლოესი დღეების ამოცანა.

საბჭოთა მწერლების ფედერაციამ პარტიისა და პროლეტარული მწერლობის დახმარებით უნდა უზრუნველყოს მის წინაშე მდგომ ახალი ამოცანების ცხოვრებაში გატარება. მწერალთა ორგანიზაცია ამის შესრულებას შესძლებს სტალინის ექვს ცნობილი მითითებების ღრმა შეგნებით და მისი ცხოვრებაში გატარებით, რაც ამავე დროს ნიშნავს პარტიის ხაზის სისწორისათვის ბრძოლას ხელოვნებაში ყოველგვარ მემარჯვენე „მემარცხენე“ გადახრების წინააღმდეგ.

რაუდენ გვეტა[illegible]

მწერ[illegible]

[illegible]

[illegible]ერლობის ახალი ამოცანები*)

[illegible]

სულავა

...ხალი ისტორიული საკით...

პროლეტ. ლიტერატურის განვითარების დღევანდელი ეტაპი ხასიათდება ბოლშევიზმის დიადი ლიტერატურისათვის ბრძოლით. ამ ლიტერატურის ტენდენციურ საკითხად სდგას მუშათა კლასის ბოლშევიკური ტემპები, ამ ტემპების მატარებელი ადამიანების მუშაობა და გმირული ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

პარტია აყენებს ლოზუნგს, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს, ...

პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს რაც შეიძლება სრული და მთლიანისახით,—სწერდა ერთ დროს ამხ. ლენინი.

პროლეტარული ლიტერატურა თავისი წარმოშობის დღიდან დღევანდლამდე პარტიული ლიტერატურის პრინციპს იცავდა, ბოლშევიკური პარტიულობისათვის ბრძოლაში წარმოიშვა და დღესაც ამ პრინციპებით იბრძვის პროლეტარულ ლიტერატურაში ისეთი მიმდინარეობა, როგორიცაა ნა-...

...

...ლი საქმის ნაწილად", „მისი ზეკაცი ლიტერატორები", „კალმით უსინდისო ყაჩაღ...რატორები", „კალმით უსინდისო ყაჩაღები და სპეკულიანტები". წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ლიტერატურულ კარიერიზმისა და ინდივიდუალიზმის, ბატონური ანარქიზმისა, გამდიდრების წყურვილისა, სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის ...

მხოლოდ მარქსიზმით მოსპეკულიანტე ინტელიგენტებს შეეძლოთ ეწერათ და ერწმუნებიათ ...მუშები და გლეხები, რომ „ქართული მწერლობა იდგა მოწინავე ერის ფრონტზე, თუმცა თავად-აზნაურობას ეკუთვნოდენ ქართველი მწერლები, მეტადრე მე-19 საუკუნეში". (ს. დევდარია-...

...ნაშე

ინტელიგენცია").
...ერატურა და ქარ...
...ერთიდაიმავე საქმეს
... არ იყო, ამისი და-...
...უთწლედის გმირი.
...ისი მაჩვენებელია,
... მწერლობასა და
...ომ ხდება ლიტერა-...
...ტრიალება და პი-...
...რა ხდება მუშათა
...ალის საშუალება.

...ქნენ, ამაში მდგომა-...
...ეწეულ მუშებთან
...ვახდელი ამოცანა.
...ვალდებულება, რომ
...პროლეტარული მწერლობის ... მისი გამუშურე-...
...ბის ... საქმე.

მწერალთა ლაშქრობა

სტალინის მითითებათა თვით შემოწმებისათვის

პირველ ნოემბრიდან მწერალთა ორგანიზაციებისა და საქარ. პროფკავშირის მიერ იწყება მწერალთა ლაშქრობა. ამხ. სტალინის მითითებათა თვითშემოწმებისათვის.

ეს ლაშქრობა ერთი მხრივ-მიზნად ისახავს განაახლოს მწერალთა მუშაობა ქარხნებსა და ფაბრიკებში, მეორე მხრივ-შეამოწმოს და იბრძოლოს მუშებთან ერთად ამხ. სტალინის ცნობილ მითითებათა განხორციელების საქმეში.

ჩვენს ქარხნებში და საწარმოებში მწერლების ბრიგადების მუშაობის პრაქტიკამ დაამტკიცა თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს ამ მუშაობას მწერლობის შემოქმედებითი გადახალისებისათვის და ამასთანავე გარღვევებთან ბრძოლაში. ყოველდღიურ მუშაობაში მონაწილეობის მიღება მწერლებს უდიდეს გამოცდილებას, ენტუზიაზმს და კლასიურ გამობრძმედილობას აძლევს.

წარსულში ასეთი მუშაობა არ იყო საკსებით დამაკმაყოფილებელი. დღევანდელი ამოცანები კი ისე გაზრდილია, რომ წარმოებისაკენ მიმავალი მწერალი თავს უნდა გრძნობდეს დამკვრელად, აღჭურვილი უნდა იყოს ხუთწლიანი გეგმის მესამე გადამწყვეტი წლის გმირული შესრულების გრძნობით, მან უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა გარღვევათა დაძლევის საქმეში, მხატვრული სიტყვის, ლექსის, ნარკვევის, შენიშვნის საშვალებით.

მუშათა კლასის ყოველდღიურ მუშაობის გაცნობა, ამ მუშაობაში მონაწილეობის მიღება, დამკვრელი მუშა-გმირების ჩვენება, ქარხნისა და ფაბრიკის ისტორიის შესწავლა-აი ჩვენი ძირითადი, გადაუდებელი ამოცანა.

პრაქტიკა ამტკიცებს, რომ მწერლები, რომლებმაც ვერ შესძლეს თავისი მუშაობის ამ მხრივ გადახალისება-თანდათან რჩებიან უკან ჩვენს თანამედროვეობას, მის მებრძოლ საკითხებს, მწერლობის პრაქტიკას. ამიტომ იმ ლაშქრობაში, რომელიც მიზნად ისახავს ამხ. სტალინის მითითებათა თვითშემოწმებას და ამ მითითებათა რეალიზაციისათვის ბრძოლას, რაც შეიძლება მწერალთა ფართო ფენებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. მებრძოლ ლოზუნგად წამოყენებულ უნდა იქნას: „არც ერთი მწერალი ლაშქრობის გარეშე".

რამდენიმე თვეა მას შემდეგ გასული, რაც ამხ. სტალინმა წამოაყენა ექვსი მითითება, რომელიც წარმოადგენს პარტიის მებრძოლ პროგრამას სოციალისტურ მშენებლობაში. ამ მითითებათა განხორციელება ჩვენი მწერლობის მებრძოლი ამოცანა უნდა გახდეს.

მწერალთა ლაშქრობა საუკეთესო საშუალებაა შემოწმებულ იქნას თუ რამდენად შესძლეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ, საბჭოთა მწერლობის ფედერაციამ თავისი მუშაობის გადახალისება, რამდენად პროლეტარულ, თანამგზავრ და მოკავშირე მწერლების ფენებში ძლიერია შეგნება ამხ. სტალინის მითითებებთან გაკავშირებით ახალი მეთოდებით, ახალი ამოცანებით მუშაობისა.

რა ვალდებულება უნდა აიღოს თავის-თავზე ლაშქრობაში მონაწილე მწერალმა. უპირველეს ყოვლისა თავი უნდა გამოაცხადოს მთლიანად ბრიგადასთან ერთად დამკვრელად, აწარმოოს მუშაობა დამკვრელურ წესით გააშუქროს ქარხნის კედლის გაზეთში ქარხნის საბრძოლო ამოცანები, აჩვენოს თუ როგორ იბრძვიან საწარმოში ბელადის მითითებათა განხორციელებისათვის, თუ ვინ როგორ ასრულებს, ამ ამოცანას, თუ რა უშლის ხელს ამ მითითებათა შესრულებას.

ლაშქრობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მწერლობაში გაწვეულ დამკვრელ მუშებმა, ასოციაციის მუშათა ლიტერატურულ წრეებმა, რომ თვითშემოწმების ნიადაგზე იბრძოლონ მწერლობის საშუალებით გადამწყვეტი წლის დიადი გეგმის განხორციელებისათვის.

მწერალთა ლაშქრობა ბელადის მითითებათა თვითშემოწმებისათვის უნდა გახდეს მწერალთა მუშაობის, მისი უნარიანობის შემოწმებად, პროლეტარულ და საბჭოთა მწერლებმა როგორც არასოდეს უნდა აჩვენონ, რომ პროლეტარული და საბჭოთა მწერლობა მუშათა კლასის სოციალისტური მშენებლობის მონაწილე მწერლობაა, მისი სისხლი და ხორცი, მისი ინტერესების და კლასიური ამოცანების სადარაჯოზე მდგომი.

14 წლის თავზე

ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის მწერალთა ლაშქრობა

საბჭოთა მწერლების ფედერაცია პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან და საქ. ...კულტსექტორთან ერთად ოქტომბრის რევოლიუციის 14 წლის თავის აღსანიშნავად 1 ნოემბრიდან აწყობს ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის მწერალთა ლაშქრობას თბილისის მთავარ საწარმოებში. ლაშქრობა გაგრძელდება 5 დღეს. ამ ხნის განმავლობაში მწერლები ... მონაწილეობენ ... ამხ. სტალინის ცნობილ 6 მითითების შესრულების შემოწმებაში და ასტეხენ განგაშს იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიან მუშაობის ახალ წესზე გადაქცევას და საწარმოო გეგმების შესრულებას.

მწერლები საწარმოებში გამოსცემენ სპეციალურ კედლის გაზეთებს, გააკრავენ ლოზუნგებს და ამასთან ერთად, გამართავენ ოქტომბრის რევოლიუციის აღსანიშნავ საღამოებს.

ლაშქრობის ოპერატიული ცნობები დაიბეჭდება გაზ. „კომუნისტში", ხოლო ლაშქრობის დაწვრილებითი შედეგები დაიბეჭდება სალიტერატურო გაზეთში".

საღამო მწერალთა კლუბში

5 ნოემბერს მწერალთა კლუბში გაი...რიგდება დიდი ლიტერატურული საღამო ოქტომბრის რევოლიუციის 14 წლის თავის აღსანიშნავად.

„სალიტერატურო გაზეთი"

11 ნოემბერს გამოვა „სალიტერატურო გაზეთის" მორიგი ნომერი. მთელი გაზეთი მიეძღვნება ოქტომბრის დღესასწაულებს

მწერლები დემონსტრაციაზე

პროლეტარული და საბჭოთა მწერლები ორგანიზაციულად, საკუთარი დროშით გამოვლენ ოქტომბრის დღესასწაულებზე გამართულ დემონსტრაციებზე.

მწერალთა რამდენიმე ბრიგადა გაიგზავნება მთავარ შესაკრებ პუნქტებზე, სადაც წაიკითხავენ ლექსებს ოქტომბერზე.

მწერლები ქარხნებში

საბჭოთა მწერლების ფედერაციამ გამოყო მწერალთა 3 ბრიგადა და მიამაგრა შემდეგ საწარმოებზე: ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხანაზე, დეპოზე და „26"-ის სახელობის ქარხანაზე.

გეგმების შესრულებაში მონაწილეობის გარდა, მწერლები აღნიშნულ ქარხნებთან ჩამოაყალიბებენ და უხელმძღვანელებენ მუ-...

პირველ ბრიგადაში შედიან ამხ. სიმ. ჭვერავა, გიორგი ლეონიძე, გ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, ვალ. გაფრინდაშვილი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი და შალვა აფხაიძე.

მეორე ბრიგადაში: რაჟ. გვეტაძე, ს. კლდიაშვილი, სან. შანშიაშვილი, სიმ. ჭვერავა, ტიციან ტაბიძე, გრ. ცეცხლაძე; ვ. გორგაძე; ალ. ქუთათელი.

მესამე ბრიგადაში: ლეო ქიაჩელი, ალიო მაშაშვილი, არ. ჭუმბაძე, მიხ. ჩიქოვანი, ი. მოსაშვილი, ალი არსენიშვილი, ლ. მეტრეველი.

ბრიგადები უკვე შეუდგენ მუშაობას.

ბამბის აურალზე

საქარ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამღივნომ ბამბის აკრეფაში მონაწილეობის მიღების მიზნით გამოჰყო პრ. მწერლებისაგან შემდგარი ბრიგადა, რომელშიაც შედიან: მიხ. ჩიქოვანი, ირ. აბაშიძე; ბ. ჩხეიძე; ბ. კაჭახიძე; არ. ჩაჩიბაია და კარაპეტიანი.

ბრიგადა ალაზნის ბამბის საბჭოთა მეურნეობაში გაემგზავრება დღეს, 27 ოქტომბერს, საღამოს. მწერლები ბამბის აურალზე დარჩებიან 7 დღე. დაბრუნების შემდეგ ბრიგადა დაამუშავებს მიღებულ მასალებს და გამოცემული იქნება მხატვრული კრებული „ბამბა".

მიხეილ ჩიქოვანი

უმაღლეს საფეხურზე ავ...ყვანოთ საწრეო მუ...ობა

ლიტ... ...მიდგებითი წრე საწარმოში—ჩვენი ...—ასეთია საქართველოს პროლე...თა ...გამოსავალი წერტილი. დამკვ... ...მუშათა მწერლობაში გაწვევამ საწრეო მუშაობის წინაშე უფრო მეტი ამოცანები დააყენა, ვინემ მას უსახავდენ მანამდე. მწერლობაში გაწვეულ დამკვრელების სახით ...

...ლა საწ.-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, გაუპიროვნების მოსპობისათვის, კულტგანმანათლებელ მუშაობისა ... პრესის მუშაობის მაღალ საფეხურზე ... ამით ლიტწრე შესძლებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს მიმდინარე პოლიტ-სამეურნეო ...

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

რუხულა

...ველი შემდგარა ბეღელ-საწნახელში. მწიფობის თვეს ჰინახულიც დაუმწიფებია.

დაშამათებული მოსახლეობა ალიონზე წამოიშლება თვალებდაგუდული და ზმორებითა და მთქნარებით მიიჩქარის ვენახებსა თუ ყანებში. დილის გრილი ნიავი აფხიზლებს ძილმოკიდებულ მშრომელებს, შრომის უნარს უორკეცებს სისხამი დილა.

— დღეს საით?—კითხულობს ვიღაც კოლექტივის კანტორის წინ, რომელსაც მოზრ-...

დამინებული, გათენების მოახლოვების სიზმარცხადიც აწვალებს და ანერვიულებს, მუშაობით ძვალ-რბილგაშორებულს აღარ უნდა გამოღვიძება... იზმორება, ბურანში შედის, ვითომ ძილს იბრუნებს, მაგრამ „თენდება" დაარღვევს ვინმე მყუდროებას და მთელი ოჯახი ფეხზე დგება დიდი თუ პატარა. სამუშაოზე წახალისებულს აღარ გინდა მზე გადიხაროს, აღარ გინდა დაღამდეს ...

...ვალებს კოლექტივის წევრებს, განსაკუთრებით მისი ბრიგადის წევრებს. ყველასაგან მუყაითობასა და ბეჯითობას მოითხოვს. „რუხულა ერთი კასი, სოლი არ არის და შული. მაინც დამკვრელი მუშაობს", ყოველ წუთში მოაგონებს რუხულა კოლექტივის სხვა წევრებს.

რუხულა არ მოწონს ლაზღანდარებს ...მოწონს კოლექტივში განგებ შემოპარულებს, არ მოწონს რუხულა, ... ნაკამის შვილს კოწიასაც, რომელიც ეს ერთ...



ანდეზიტის ნახევრად ფაბრიკადებზე მუშაობა.

...ის შემოქმედებით ზრდაში დიდი ...ნა შეუძლია ერთის მხრივ ...ტურ ხოტბას და ...ლობას.

...ადრების ...

...ქწერლები სოციალისტურ აღმშენებლობის ფრონტზე

საბჭოთა მწერლების რეიდი ანდეზიტის საშუშაოებზე ამხ. სტალინის მითითებათა რეალიზაციისათვის

ირაკლი აბაშიძე

ფიქრი არშაში

მე ჩემის სიტყვით
კაცისათვის გზას ვაფეთქებ,
რომ სწორი აზრი ბარის კაცმაც ხევად მოვფინო,
რომ მივარდნილ ხალხს
ცხვარში გაზრდილ არშაველ გლეხებს
ახალი ქვეყნის ანა-ბანა შევატყობინო.
მოხევე ძმებს,
ვისი ბინაც არის მიწური;
ეპოქის უკან სამწუხაროდ ჩარჩენილ კაცს,
ვისთვისაც ხევით
დედა-მიწა ამოიწურვის.
აქ უდგას „ცხორი", აკვანი და სამარეც ქვაც.
და ვისაც დღეს
ანდეზიტის ქვათა გრუხუნით
სალის ქუჩივით ერყევა და სტკივა ფესვები,
ვინც დგას და ჩივის,
რომ:
—„მოვიდნენ არშას უცხონი
და არშის მკვიდრთ ნაფუძვარზე არ გაეძლების".
და მთაში გაზრდილს, ბუნების შვილს,
ვისაც ამრიგად
მთის აქეთ ბარში უწოდებენ ამაყს, მხნე-გულადს,
ვინც ჩვენთა დღეთა
ამოცანა ჯერ ვერ გაიგო,
ვინც ჩვენს საქმემდე
კიდევ ჯერაც არ ამაღლებულა.
ვინც ჯერ არ უწყის,
რომ დამკვრელის ქვეყნის სახე ვართ,
რომ ხუთწლედისთვის თავდადება კლასმა შეჰფიცა,
რომ არშის მთაშიც
ბრიგადელი ებრძვის გარღვევას
და იჭედება საჭურველი ახალქვეყნისა.
ეს [illegible]ენიც ხეთქვით,
[illegible] მთებში გადასძახებ[illegible]
და ქვათა შორის პნევმატები სჭექენ, ჰკივიან,
რომ:
— სადღაც ბარში ტრიალებენმასსა ქარხნები
და დღიდან - დღეზე საბჭოეთის ჰყვავის ქიმია.
რკინა და ცეცხლი,
მოძრაობა განუწყვეტელი,
გეგმა მასხების, გეგმა ქარხნის, გეგმა ჰამქარის,
რომ ახალ ქვეყნის აეშენოთ ახლად კედელი,
უფრო ზვიადი,
უფრო მტკიცე,
უფრო მაგარი.
მეც ჩემის სიტყვით
კაცისათვის გზას ვაფეთქებ,
რომ სწორი აზრი ბარის კაცმაც ხევად მოვფინო,
რომ მივარდნილ ხალხს,
ცხვარში გაზრდილ არშაველ გლეხებს
ახალი ქვეყნის ანა-ბანა შევატყობინო.

ალექსანდრე ქუთათელი

დაულეწიათ კლდე ანდეზიტის

დაულეწიათ კლდე ანდეზიტის
ლაღუმებისგან ქვათა ზოდებათ.
[illegible]

თერგის კიდურზე გერგეთი, არშა?..
ვუცქერდი მყინვარს გულდაწყვეტილი.
[illegible]

მიხეილ ჩიქოვანი

ქვის მჭრელები

ნიკოლა ინგუშეთიდან რომ დაბრუნდა ანდეზიტის ქვაზე დაიწყო მუშაობა. შემოდგომიდან გარე სამუშაოზე წარსულს ხევში ხელჩართული მუშაობა დახვდა.

აკეთებდენ მთებში მისასვლელ გზებს.

დგამდენ ახალ შენობებს.

აპობდენ ლოდებს.

ნიადაგს წმენდენ არშის მთაზე [illegible]ტევის დასაწყებად.

ეს სამი წლის წინ იყო.

სოფელ გარბანში უმთავრესად ღარიბი მოხევეები ცხოვრობენ. ასი, ორასი ცხვრის მეპატრონენი მთაში ერთად გზავნიან ფარას ზაფხულობით. შეამხანაგდებიან, მორიგეობით მწყემსავენ.

შეძლებულებს საკუთარი ცხვარი ყავთ. კულაკები მწყემსებათ ღარიბებს ქირაობენ. ნიკოლა გელაძე ახალ გაზრდობიდან სხვისი ცხვრის მწყემსვაში დავაჟკაცდა.

მთაში წასული ვაჟი მოცილებული იყო საკუთარ მშობლებს. ძონძებში შეხვეული გადაჯდებოდა მგის გადასავალში და ნაღვლიანათ შეყურებდა ფრიალოზე გაშლილი ფარის მადიან ძოვნას.

დავაჟკაცებული მოხევე თერგის ხეობასაც გასცილდა. იწყო ქისტეტში, ხევსურეთში სიარული. იღებდა სხვებთან ერთად სამუშაოს და ნაშოვი ფულით მიჰქონდა სახლში: სიმინდი, პური,—წლის სარჩო. მოსვლამდე მოხუცი დედ-მამა დღე-დღეზე ელოდა, ეჩქარებოდა შვილის დაბრუნება. უპატრონოთ დარჩენილ ოჯახი სიმშილს პირისპირ უდგა. ფ[illegible]ვი მწირია და პური არ მოდს.

— ქისტეტს სახლებს ვაშენებდი. შინ კი სახლი არ მედგა.

იტყვის ნიკოლა, 32 წლის მკლავმარი მოხევე [illegible] ჩამდგაკუნთებიანი მკლავებით სცემს სათლელას, ორწვერს. წინ დიდი, კვერივით გაშოლტილი ქვა უდგია. თლის. გონიოში გამოყავს.

— რაო, რაო ნიკოლა.

გადმოსძახებს ლოდზე დამჯდარი მათურა ქუქიშვილი.

— რაო და უწინ ქისტეტს კულაკების სახლს ვაშენებდი!

ეტყვის ნიკოლა.

ქვის ერთი მხრით ჩამოსწორების შემდეგ, უკან დაიხევს, ცალთვალი [illegible]

[illegible]ვია ზურგზე, ბურღავს. ხვრეტავს. საღამოთ ნახვრეტებში ამონალის ჩაყრიან ამფეთქებლები. თავს მოუწებავენ. ფითილს ცეცხლს გაუჩენენ და ეს ვეება ქვის მასა ერთს გაიზმორებს, გაიგრიალებს და რამოდენიმედ გაიხლიჩება.

— ნიკოლაუ, ეს წასული საქმეა ახლა გამოტყდების!

— რაში ბესიაუ?

ქვის მჭრელმა ხელკვერი შეიმაღლა, ბესოს დააცქერდა.

— ხევსურებში არავის ატყვიილებდით?

მოხევეს გაეცინა. გელაძე მიხვდა რაზე ეუბნეობოდა ბესია.

— რაში მოეტყვილების, სახლებს კარგად ვაშენებდის.

— თუ არა!

— დაგვჭრიდეს, ამკენწამდეს ხევსურები, მეშინოდა კიდეც!

ნიკოლამ არა მარტო ქვის ოსტატობა იცის. ის ხის მოხელეცაა, სახლის მშენებელი მაგრამ ქვაზე მუშაობა უფრო ემარჯვება. ბარაქიანი სამუშაოა და ბევრი ხლაფორთი არ სჭირდება. —იტყვის ხანდისხან.

გადმონგრეულან. თვითეულ ლოდს ბრიგადა შესევია. სჭრიან, აპობენ, ბურღავენ, თლიან და სახელოსნოში აგზავნიან.

— აი, მშინ ჩვენ სოფლამდი მიუწევს —გაშვირა ხელი სპირიდონმა მარბნისაკ[illegible].

— ამ ხეში, რომ ქალაქი გაშენდება!

დაუმატა მათურამ. ამ ხმაში ღრმა რწმენა [illegible] დაჯერებული. მოფიქრებული [illegible] უეჭვო.

— ახლა[illegible]ლარ გაუჭირდების სხვაგან წასვლა?

ბესიას სვრელები უჭირავს მარცხენა ხელი, მოზრდილი ქვისათვის მიუჩოქია. [illegible]რჯვენათ კვერს სცემს. ეს ქვა ერთაზზე უნდა გააპოს. შუაზე უნდა გლიჩოს ორას ფუთიანი კუნძი. ჯე[illegible] სახვრელებით ამოჭრის საფეხურებ შემდეგ რკინის სოლებს, მისცემს დაეროთ მიდგება საცემათ. გააპობს სწრაფად.

— სხვაგ[illegible] ახლა ვილან წავა, სამუშაო კარზე[illegible]

— [illegible]ღამ[illegible] ცოლშვილს მაინც ვნახავთ!



ანდეზიტის ქვის სუფთა თლა

— მაშ უწინ ქისტეტს აშენებდის ნიკოლა!

იმეორებს მათურა ბურზე ხელებ ჩაჭიდებული.

— ახლა რას აშენებ ნიკოლა?

მიუბრუნდა დამკვრელ მოხევეს ბრიგადის მეთაური სპირიდონ ხეთაგური მაღალი და თხელი ტანის მქონე შავგვრემანი მოხევე.

— რას ვაშენებდის?

იკითხა ბესიამ.

— ხო, რას აშენებდის!

— ეს შენც კარგათ იცი.

შემოუარა კითხვას ნიკოლა გელაძემ პირდაპირ არ ამბობს. სახეს ხევს მიაპყრობს და პალ[illegible] ჭალაკზე რიგში გაშენებულ პრიალა სახლებს, რომ დაინახავს გახარებული იტყვის.

— რას ვაშენებდის?

— ხო!

— სოციალიზმს ვაშენებდით!

გამართულად, ამაყად წარმოსთქვა გათლილ ქვის კევრზე შემდგარმა მოხევემ. ზევით აიხედა, თავზე წამომდგარ მთას საკინძე ჩამოხევია და ფერდობზე უამრავი ქვის მასივები

— ხმაი მი[illegible]წვდების!

ალალი გულით ამბობენ მოხევეები. აქამდე ისნი ხევის გარეთ მიდიოდენ სამუშა[illegible] საძებრად. სიმინდის, პურის ნავთის მარილის მოსატანათ. ახლა საქმე იქე გაიჩინეს. სიმინდი მოდის. პური, [illegible]ავთი, მარილი და ფართალიც აქვე. მაშ რა საჭიროა აქედან გაქცევა. [illegible]რაფერი, არც ერთი ღარიბი მოხ[illegible] ამას არ გაიფიქრებს.

სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტი კავკასიონის მთებშიაც გაიშალა. ბოლშევიკურმა ტემპებმა შეაძრწუნა თეთრად დაპენტილი ცათა მბჯენები.

ახლა [illegible] ანდეზიტის ძვირფას მადნეულს უგზავნიან ხუთას თვრამეტის გიგანტებს.

საღამო მოახლოვდა.

ქვის მჭრელების ქვემო მდგომმა კომპრესორმა ძიმედ ამოიხვნეშა.

ხევში გაისმა ინდუსტრიალური საყვირი!

უცბად ქვებიდან ჭიაჭველებივით ამოცოცდენ ხალხი. მთის ფერდობი დაიფარა ადამიანებით, რომლებიც აქამდე არ ჩანდენ. მიმალული

[illegible]

ილო მოსაშვილი

ეს ნაღმიც არშას

[illegible]

ვალია აბაშიძე

ანდეზიტი

[illegible]

არის უნდა ამუშავდენ ბერეზნიკოვის, და პერმის ქიმიური ქარხნები. უკვე მზათ არის კორპუსები, ძოწყობილობათა მონტაჟი—აქ ლია ანდეზიტი. რა არის ანდეზიტი? ეს არის ძალზე გამძლე ქვა. სხვა მასალა ვერ უძლებს მჟავას სიძლიერეს იხსნება, იშლება.

ქტიური პირობები? რასაც ასე ხშირად ახოცენ ხელს სუბიექტიურ მარცხის გმირები! რა თქმა უნდა, ამის მიზეზი სულ სხვაგან უნდა ვეძებოთ. ანდეზიტის წარმოება საუკეთესო ილუსტრაცია იმისა, თუ როგორი საფრთხე წინაშე შეიძლება დად[illegible]

[illegible]

დემნა შენგელაია

ლაითურის ჩაი

პ. ინგოროყვას განცხადება

რედაქციისაგან

მიმდინარე წლის აპრილში საბჭოთა მწერლების ფედერაციამ ჩაატარა თავისი რიგების წმენდა, რომლის შედეგადაც ფედერაციის რიგებიდან გამორიცხულ იქნენ ამხანაგი ანტი-საბჭოთა ელემენტები.

მწერალთა ფედერაციის რიგებიდან გარიცხული იქნა აგრეთვე პავლე ინგოროყვა, რომლის შესახებაც დადგენილებაში ნათქვამი იყო: „პავლე ინგოროყვა გაირიცხოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის რიგებიდან, როგორც აშკარა რეაქციონერი და ზოგადისტი მწერალი, რომელმაც ჟურ. კიდევ ანტისაბჭოთა ჟურ. „კავკასიონის"-რედაქტორობის დროის ნათლად გამომჟღავნა თავისი რეაქციონერი და ნაციონალისტური სახე. ამავე რეაქციონერ ხაზით ის საქმიანობა ადრეშიც მწერალთა კავშირში და ის საქმიანობა მან გააიმწვავა მწერალთა ერთობის და კრებებზე გამოსვლებით, თავის ანტისაბჭოთა დღეს... პავლე ინგოროყვა იყო ქართველი მწერლების რეაქციონერული და ნაციონალისტური ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი და რეაქციონერული „ქართული წიგნის" გამომცემლობის, რომელიც მისი ხელმძღვანელობის დროს წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს".

უკანასკნელ ხანში პავლე ინგოროყვამ მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმში შეიტანა განცხადება, რომელშიაც ის აღიარებს თავის შეცდომებს და უარყოფს ძველ გზას.

პ. ინგოროყვას განცხადების ნაწილს აქვე ვათავსებთ.

[...]

პ. ინგოროყვა.

სახელგამმა უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა

მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საქმეში

საქართველოს პროლეტ. მწერალთა პრეზიდიუმის რეზოლუცია სახელ გამის მუშაობის შესახებ მხატვრული ლიტერატურის და საბავშვო ლიტერატურის გამოცემის დარგში

[...]

9. წიგნების გავრცელების საქმე მეტისმეტად მოუწესრიგებელია.

[...]

10. გამოცემულ იქნას ... და საბჭოთა მწერლების ახალი ... თვით ნაწარმოები ...

11. სახელგამმა მიიღოს ყოველგვარი ...

...თოლი

...ს საკავშირო გამოფ... ...ლენინგრადში

...ევოლუციის 14 წლის თავ... საკავშირო სამეცნიერო ...ს მხატვრული ლიტერატუ... გამოფენას. გამოფენაზე წა... ება ს.ს.რ. კ-ში შემავალ ...ების ხალხთა მხატვრული ...გი ექსპონატების სა... ...წერები, კორექტურები, ...ჯგუფებათა დეკლარა... ...ი, სურათები, მეწრალთა ... სხ.

...ლოს საბჭოთა მწერლე... ...ენაში მონაწილეობის ...მჟღ სპეციალური კო...

საწარმოო თათბირები

პოეზიაზე

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნოს დადგენილების თანახმად 17 ნოემბერს ჩატარდება პოეზიის საწარმოო თათბირი.

მოხსენებებს გააკეთებენ ამხ. ა. სულავა და კონსტ. ლორთქიფანიძე.

მეთოდოლოგიაზე

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნოს დადგენილების თანახმად 1 დეკემბერს ჩატარდება ლიტერატურის მეთოდოლოგიის საწარმოო თათბირი.

მოხსენებას გააკეთებენ ამხ. ი. ვაშაკიძე და გ. ნატროშვილი.

მწერალთა კლუბი

ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში არსებულმა მწერალთა კლუბმა გააცხოველა თავისი მუშაობა. კლუბს შედგენილი აქვს სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც კლუბი ღია იქნება ყოველ დღე (გარდა გამოსასვლელი დღეებისა), საღამოს 8 საათიდან 1 საათამდე. 6 დღეში ერთხელ კლუბში გაიმართება საჯარო საღამო, მოხსენებები და დისპუტები ლიტერატურულ და პოლიტიკურ საკითხებზე. გამოდის დეკადაში ერთხელ კედლის გაზეთი „საბჭოთა მწერალი", რომელშიაც შუქდება კლუბის წრეების და მწერალთა ბრიგადების მუშაობა, მწერალთა ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები; პოლიტიკური კამპანიები და მწერალთა ამოცანები, ლიტერატურული მოვლენები და სხვ.

კლუბთან ჩამოყალიბებულია შემდეგი წრეები: 1) მარქსიზმის და ლენინიზმის შემსწავლელი წრე; 2) მეზობელ რესპუბლიკების (აზერბეიჯანი, სომხეთი) და საქართველოს ფარგლებში შემავალ ავტონომიურ ერთეულების (ოსეთი, აფხაზეთი), კულტურულ-პოლიტიკური ვითარებისა და ლიტერატურის შემსწავლელი წრე, 3) ლიტერატურის ლაბორატ... წრე, სადაც იწარმოებს ახალ ნაწარმოებთა წაკითხვა და მათი გარჩევა, ლიტერატურაში წამოჭრილ საკითხების და მოვლენების შესწავლა-დამუშავება, მოხსენებები უცხოეთის თანამედროვე ლიტერატურაზე და სხვა, 4) სოციალისტ... ...შენებლობის შემსწავლ...

...ტის წარმოებაში

...მუშაობი: ქვის ...ჩხლისნოში ...ორმე...

ზინებში. ეს საცხოვრებელი გულდასმით დაათვალიერა მწერალთა ბრიგადამ. ამავე დღეს მწერლებს ანდეზიტის წარმოების გაფართოების პრ...

ახალი წიგნები

„მჭედლების უბანი"

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა სიმონ წვერავას მოთხრობათა კრებული: „მჭედლების უბანი"; გამოცემა სახელგამის; ამავე ავტორის ნარკვევების წიგნს ხუთწლედის გმირებზე სათაურით: „სტალინელები" სცემს გამომცემლობა „შრომა".

—:—

„რამდენიმე ლექსი"

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ირაკლი აბაშიძის ლექსების წიგნი — „რამდენიმე ლექსი"; გამოცემა სახელგამის.

—:—

„ნაპოსტოველობისათვის" ლიტერატურაში

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ამხ. ალ. სულავას კრიტიკული წერილების წიგნი: „ნაპოსტოველობისათვის ლიტერატურაში". გამოცემა სახელგამის.

—:—

სერგო კლდიაშვილის მოთხრობები

ახლო ხანში გამოვა სერგო კლდიაშვილის ...მოთხრობების წიგნი; გამო... ...გამის.

—:—

„...ი ბრძოლის დღეები"

... მწერლობაში გაწვეულ ... ნაზარბეგოვის ნარკვე... „გმირული ბრძოლის ... წიგნს დართული აქვს ... წინასიტყვაობა. გამო... ...-სი.

„ბედი რესპუბლიკა"

გამოვიდა სიმონ ჩიქოვანის პოემა: „ბედირესპუბლიკა". გამოცემა „ქართულ წიგნის"; ყდა მხატვარ დ. ქუთათელაძის, წიგნი ლამაზად არის გამოცემული და ღირს 80 კაპ.

—:—

„აბუ ალა მაარი"

ამ დღეებში გამოვა სომეხი პოეტის ავეტიკ ისაკიანის პოემა: „აბუ ალა მაარი" — თარგმანი ტიციან ტაბიძის. წიგნს დართული აქვს ავტობიოგრაფია და წინასიტყვაობა ქართული გამოცემისთვის.

ავ. ისაკიანი—„სომხეთის ერთი საუკეთესო პოეტია.

„აბუ ალა მაარი" ავ. ისაკიანის საუკეთესო პოემაა, სიუჟეტურად იგი ახლოა ნიკოლოზ ბარათაშვილთან. თვით ავ. ისაკიანი აღნიშნავს: „ჩემი უფროსი ძმა ნიკო ბარათაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება. მისმა უმშვენიერესმა „მერანმა" მე თავდავიწყებით გამიტაცა. „აბუ ალა მაარი" ქარავანი ბარათაშვილის „მერანის" კვალს მისდევს".

სარედაქციო კოლეგია: რ. ვვეტაძე, ნ. ჟიჟიშვილი, შ. რ... ...ანი (პ/მ. რედაქტორი) ა. სულავა, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქო... ს. წვერავა.

სახელგამი

მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ ...ლიტერატურულ და საზოგა... ...იკურ ჟურნალზე